ქობულეთის მუნიციპალიტეტი

# საგადახდო მოთხოვნა # 00066

(დამტკიცებული ხაზინაში)

| | | | |
|---|---|---|---|
| სახაზინო კოდი | 03 03 02 | დასახელება | მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები |
| ვალდებულების # | 0042 | მოთხოვნის საფუძველი | წინასწარი გადახდა |
| | | | 124 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი | 2.8.2.2 | თანხა ლარებში | 33 774,69 | თანხა სიტყვით | ოცდაცამეტი ათას შვიდასსამოცდათოთხმეტი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი |

| | |
|---|---|
| განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი | 247001890 |
| დასახელება | ქობულეთის მუნიციპალიტეტი |
| მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი | 446958490 |
| დასახელება | შპს შპს მშენებელი |
| მიმღების ბანკის კოდი | LBRTGE22 |
| დასახელება | სს "ლიბერთი ბანკი" (საან.ცენტ.) |
| ანგარიშის # | GE04LB0113155236955000 |
| საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი | |
| გადახდის დანიშნულება | სხვა - სოფ. ჩაისუბანში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოთხი ოჯახის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სამუშაოები |

| | | |
|---|---|---|
| მოთხოვნის დამატება: | დოდო პაპუნაიშვილი | 29.12.2015 21:56 |
| მოთხოვნის დამოწმება: | მარინა გოგიტიძე | 29.12.2015 22:25 |
| მოთხოვნის გაგზავნა middle-ოფისში: | მარინა გოგიტიძე | 29.12.2015 22:25 |
| მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან: | ფატი ჯინჭარაძე | 29.12.2015 23:04 |
| მოთხოვნის მიღება: | თამარი ბეგიაშვილი | 30.12.2015 09:35 |
| ბანკში გაგზავნა: | | 30.12.2015 09:43 |

ტრანზაქცია განხორციელებულია

30.12.2015

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

06055/11654

2015 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი, საქართველო

**საავანსო გადახდის საბანკო გარანტია #AV2428/15**

**გარანტი:** სს "ლიბერთი ბანკი"
**პრინციპალი:** შპს "მშენებელი" (ს/კ: 446958490)
**ბენეფიციარი:** ქობულეთის მუნიციპალიტეტი
**საგარანტიო თანხა:** 33,774.69 (ოცდაცამეტი ათას შვიდასსამოცდათოთხმეტი და 69/100) ლარი
**საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა:** 2016 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის **2015 წლის 24 ნოემბერს** გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **#270** (შემდგომში "ხელშეკრულება"), ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ჩაისუბანში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოთხი ოჯახის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვაზე (შემდგომში "სამუშაო"). ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 73,663.81 (სამოცდაცამეტი ათას ექვსასსამოცდასამი და 81/100) ლარს.

ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულია წინასწარი ანგარიშსწორება, იმ შემთხვევაში თუ პრინციპალი წარუდგენს ბენეფიციარს საბანკო გარანტიას მოთხოვნილი ავანსის ექვივალენტ თანხაზე, ანუ **33,774.69 (ოცდაცამეტი ათას შვიდასსამოცდათოთხმეტი და 69/100) ლარზე.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ პრინციპალი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების თანახმად ნაკისრ ვალდებულებებს, სს "ლიბერთი ბანკი" კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას, ბენეფიციარის პირველი წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას ნებისმიერი თანხა ან თანხები **33,774.69 (ოცდაცამეტი ათას შვიდასსამოცდათოთხმეტი და 69/100)** ლარის ფარგლებში.

წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაში შედის: სს "ლიბერთი ბანკის" ქობულეთის ფილიალში (ბანკის კოდი: LBRTGE22), ბენეფიციარის დავალებით, პრინციპალის # **GE04LB0113155236955000** ა/ანგარიშზე ავანსის სახით **33,774.69** (ოცდაცამეტი ათას **შვიდასსამოცდათოთხმეტი და 69/100)** ლარის ჩარიცხვისთანავე.

წინამდებარე საბანკო გარანტია მოქმედებს **2016 წლის 30 აპრილის ჩათვლით** აღნიშნულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბანკის მიერ მიღებულ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე, შემდეგ მისამართზე: სს "ლიბერთი ბანკი", ქ. თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის გამზირი #74.

ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა ანაზღაურებაზე დადასტურებული უნდა იყოს ბენეფიციარის უფლებამოსილი პირის **ხელმოწერითა და ბეჭდით**, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა და ის გარემოება რომლის გამოც მოხდება მოთხოვნის წარმოდგენა.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად მცირდება პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის, ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)-ის ასლ(ებ)ის ბანკში წარმოდგენის საფუძველზე, ასეთ აქტებში მითითებული შესრულებული სამუშაოების ღირებულების **45.84%-ის (ორმოცდახუთი და 84/100)** პროცენტის ოდენობით და პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პროპორციულად, შემცირების თაობაზე ბენეფიციარის წერილობითი მომართვის საფუძველზე. ბენეფიციარის წერილობითი მომართვა უნდა იყოს **ქობულეთის მუნიციპალიტეტის** გამგეობის ბლანკზე ფურცელზე და ბეჭდით დამოწმებული.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად მცირდება ბენეფიციარის მიერ წამოყენებული მოთხოვნის საფუძველზე, გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების ოდენობით.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:
ა) საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
ბ) ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი ფორმით უარის თქმით და საბანკო გარანტიის ორიგინალის ბანკისათვის დაბრუნებით.
გ) ბანკის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ბენეფიციარისათვის სრულად გადახდით

დავით [illegible]
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დავით ვერულაშვილი
დირექტორი

LIBERTY BANK - ADJARA BATUMI
203828304
№168
LBRTGE22